**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# ზანა

ზანა, მდინარე დას. საქართველოში, ხობის მუნიციპალიტეტში, მდ. ხობის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 42 კმ, აუზის ფართ. 69,7 კმ$^2$. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმოვარდნები – ზაფხულ–შემოდგომაზე. უერთდება 60-მდე შენაკადი, რ-თა ჯამური სიგრძეა 86 კმ. საშ. წლ. ხარჯი 2,9 მ$^3$/წმ. მდინარის ხეობაშია ნაზოდელავოს მღვიმე.

***ი. აფხაზავა***